ჩემპიონატი

თბილისის დინამოელთა რევანში

მოსკოვი. 13 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ "დინამოს" სტადიონზე საკავშირო გათამაშებაში მეორედ შეხვდნენ **თბილისის "დინამო" და მოსკოვის "ტორპედო".**

პირველ წრეში თბილისელებმა ტორპედოსგან დამარცხება განიცადეს (1:2).

ამ დღეს დინამოელებს გადაწყვეტილი ჰქონდათ რადაც არ უნდა დასჯდომოდათ – აეღოთ რევანში. და ეს ასეც მოხდა. პირველ წუთებიდანვე დინამოელები შეტევაზე გადადიან. თითქმის ზედიზედაა მოხდენილი, ლამაზი კომბინაციები თავდამსხმელებისა, რომლებსაც მეთაურობენ ბ. პაიჭაძე და გ. ჯეჯელავა.

მე–20 წუთია. ბურთს ბერეჟნოი მიაქროლებს. მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანთან მას მოხერხებულად აწვდის პაიჭაძე. მძლავრი გარტყმა და პირველი ბურთი ეხვევა "ტორპედოს" ბადეში.

მიუხედავად თბილისელთა უპირატესობისა, შედეგი პირველ ტაიმში არ შეცვლილა.

მოსალოდნელი იყო, რომ ტორპედოელები განსაკუთრებული ენერგიით შეუტევდნენ მეორე ტაიმში მოწინააღმდეგეს. მართლაც არ გასულა რამოდენიმე წუთი და შჩერბაკოვი ათანაბრებს ანგარიშს.

სტუმრები არ დაბნეულან. ბურთი თითქმის აღარ შორდება "ტორპედოს" მოედანს. აშკარად საფრთხეშია მისი კარი. ერთ–ერთი ასეთი მომენტის დროს იშვიათი გამჭრიახობით სარგებლობს პაიჭაძე, ატყუებს 4–5 მოთამაშეს და ბურთს უგორებს ჯეჯელავას. იგი ზუსტი გარტყმით აგზავნის "ტორპედოს" კარში (2:1). შეტევა უფრო ძლიერდება და თუ თბილისელები ვერ ახერხებენ ანგარიშის შეცვლას, ეს უნდა აიხსნას მხოლოდ მეკარე ვინოგრადოვის შესანიშნავი თამაშით.

ტორპედოელები თანდათან ინიციატივას იღებენ. დინამოელების მცველთ უკვე მუდმივი სამუშაო გაუჩნდათ. ტორპედოელი კარიჩევი ოსტატურად უვლის მცველებს და კვლავ ათანაბრებს ანგარიშს (2:2).

თბილისელთა თავდასხმა უკანასკნელ მძაფრ იერიშს ავითარებს. თამაშის დამთავრებას რამდენიმეღა წუთი აკლია. საჯარიმო მოედანზე მიტანილ ბურთს ხელით აჩერებს "ტორპედოს" მცველი. პენალტი და მ. ბერძენიშვილის დარტყმამ გადაწყვიტა თამაშის ბედიც.

3:2 – ასეთი ანგარიშით დამთავრდა "დინამოს" სარევანშო შეხვედრა თავის ერთ–ერთ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან.

გოლშტეინი, "დინამოს" გუნდის უფროსი.
„ახალგაზრდა კომუნისტი", 14 აგვისტო, 1940 წ.